

კითხვებს ლიტურგიკულ საკითხებზე პასუხობს
ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ბელატიის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
დეკანოზი ბიძინა გუნია

- ა) ინფორმაცია ლიტურგიკულ საკითხებზე შეგიძლიათ მოიძიოთ საპატრიარქოს განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე – „ცნობარი მედავითნეებისთვის“ <http://venakhi.ge/medavitne.html>
ბ) კითხვები თქვენთვის საინტერესო ლიტურგიკულ საკითხებზე გამოგზავნეთ ელ-ფოსტაზე: davati@venakhi.ge ან svetitskhoveli@gmail.com
გ) ინფორმაცია და პასუხები გარდა ზემოაღნიშნული ვებ-გვერდისა, იხილეთ აგრეთვე „ფეისბუქ-ზე“ - მამა ბიძინა გუნია.

შენიშვნა: იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“ –
№36 (695) 31.10-6.11.2013წ. გვ. 4 და №37 (696) 7-13-11.2013წ. გვ. 5.

კითხვა 9: ახლოვდება შობა-ახალი წელი და არაერთ პიროვნებას აინტერესებს რამდენად აუცილებელია კალენდარული რეფორმის განხორციელება?

პასუხი: ორ ათეულ წელზე მეტია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მისამართით გაისმის მოწოდებები იულიუსის კალენდრის რეფორმის აუცილებლობის შესახებ, რის დროსაც სხვადასხვა მცდარ არგუმენტებს იშველიებენ და, რაც მთავარია, ანგარიშს არ უწევენ მორწმუნე, მართლმადიდებელი ადამიანის შეხედულებებსა და პოზიციას ამ საკითხებთან დაკავშირებით.

გვსურს რა, დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ განსახილველ საკითხს, ყურადღებას უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის შემდეგ შეგონებებზე გავამახვილებთ:

1. „...მიმდინარეობდა და მიმდინარეობს სამეკლესიო საკითხებზე არაკორექტული, ხშირ შემთხვევაში კი შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური მსჯელობები“ (ილია II 2008: 176);

2. „...ჩვენთვის სრულიად გაუგებარია აღნიშნულ პროცესებში იმ ალამიანთა მონაწილეობა, რომელთაც ეკლესიასთან კავშირი არა აქვთ“ (ილია II 2008: 176);

3. „იცოდეთ, ჩვენი ეკლესია არაკეთილისმსურველთა სამიზნეაა ქვეყნული...“ (ილია II 2008: 177);

4. „წამოყენებულ ბრალდებებს ემატება ისიც, რომ გარკვეული პირები ჩვენი ეკლესიის საქმიანობას ხშირად რუსეთიდან მართულ პროცესებთან აკავშირებენ, ... ამგვარი ცილისწამება არაერთხელ განხიანდა სამეკლესიო კალენდრის გამოც“ (ილია II 2008: 177);

5. „მოეუწოდებთ ჩვენს ახალბაზრლებს ანალიტიკური, ფილოსოფიური, ღრმა აზროვნებისაკენ. ... ღრმა ანალიზისა და ძიების სურვილი კი ღმერთის შეცნობის დიდ შესაძლებლობას იძლევა. მაშ, „ეძიებდით და პპოვოთ, ირეკდით და განგელოთ თქვენ“ (ილია II 2008: 168);

ამდენად, გვსურს, სწორედ მითითებული შეგონებების სულისკვეთებით წარმოვადგინოთ მართლმადიდებლური შეხედულებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საეკლესიო კალენდართან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას, გარდა მათემატიკის, ფიზიკისა თუ ასტრონომიისა, აუცილებელია თეოლოგიური ასპექტების გათვალისწინებაც. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სატელევიზიო „დებატებში“, „ინტერაქტივებსა“ თუ საგაზეთო პუბლიკაციებში, რომლებშიც კალენდრის რეფორმის აუცილებლობაზე კეთდება აქცენტი, ჭეშმარიტ რწმენას მოკლებული რაციონალიზმი დომინირებს. შედეგად, გაუთვალისწინებელი რჩება:

1. სჯულის კანონის მოთხოვნები (1. წმიდა მოციქულთა VII კანონი; 2. პირველი მსოფლიო კრების გადაწყვეტილებები; 3. ანტიოქიის ადგილობრივი საეკლესიო კრების I კანონი - იხ. გუნია 1999: 147-148);
2. წმიდა მამათა სწავლებანი (წმ. იოანე ოქროპირის შეგონებები, წმ. კონსტანტინე დიდის ეპისტოლე, რომელიც მან 325 წელს ნიკეადან გაუგზავნა ყველა იმ ეპისკოპოსს, რომლებიც აღნიშნულ წმიდა კრებას არ ესწრებოდნენ - იხ. გუნია 1999: 147-150);
3. უდიდესი საეკლესიო დღესასწაულების თანმდევნი განსაკუთრებული მოვლენები (მაგალითად: იერუსალიმში, მაცხოვრის საფლავზე, ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლა დიდ შაბათს და სხვა - იხ. ილია II 2008: 178);
4. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის შეგონებები საეკლესიო კალენდრის რეფორმის მიუღებლობასთან დაკავშირებით (ილია II 2008: 177-179);
5. საქართველოს საპატრიარქოს საღვთისმეტყველო კომისიის პოზიცია ფინეთის ეკლესიასთან დაკავშირებით, რომელიც გრიგორიანული კალენდრით ხელმძღვანელობს (ბიულეტენი 1998: 9-11);
6. თვით კათოლიკური ეკლესიის პოზიცია, კერძოდ, 1963 წლის 4 დეკემბრის ვატიკანის II კრების მასალები (სადაც აღდგომის დღის უძრავი თარიღის შემოღების საკითხის განხილვისადმი მზადყოფნა იქნა გამოთქმული - იხ. გუნია 2007: 5-6; ბუტკევიჩი 1984: 15). (გასაოცარია. ალბათ კალენდრის რეფორმის ზოგიერთ მომხრეს სურს რომის პაპზე უფრო დიდ კათოლიკედ წარმოადგინოს თავი);
7. იულიუსის კალენდარსა და საპასექო გამოთვლებს შორის მჭიდრო კავშირი (რომლის წარმოჩენა ერთობ აქტუალურია, რადგან კალენდრის რეფორმა უშუალოდ აისახება ჩვენს უმდიდრეს ლიტურგიულ მემკვიდრეობაზე, ვინაიდან გრიგორის კალენდრის შემოღებით საპასექო გამოთვლათა ყველა არსებული ხელნაწერი ოდენ ისტორიის კუთვნილებად გადაიქცევა, რადგან მათ პრაქტიკული გამოყენება აღარ ექნებათ);
8. ის გასაოცარი ფაქტი, რომ კათოლიკურ სამყაროში უფრო დიდ ყურადღებას ამახვილებენ შობის დღესასწაულზე, ვიდრე მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომაზე;
9. იმ ადამიანთა მიზნები, რომლებიც საეკლესიო კალენდრის რეფორმას უჭერენ მხარს, მაგრამ საერთოდ არ ცხოვრობენ ეკლესიურად, და რაც აუცილებლად აღსანიშნავია, არც სჯერათ ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლისა (იხ. გუნია 2007: 7-8);
10. 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი შედეგი - კალენდრის რეფორმა (კალენდრის რეფორმის ერთ-ერთი ავტორის ჟილბერტ რომმის (1750-1795) გასაოცარი პასუხი კითხვაზე, თუ რაში სჭირდებოდათ ახალი კალენდარი: „...იმისთვის, რომ თქვენი აღდგომა, ესე იგი ქრისტეს რწმენა გავანადგუროთ“ - იხ. კოპალეი შვილი 1991: 84);
11. დედამიწის ეკვატორის ორივე მხარეს სეზონების სხვაობა (როცა დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა ან ზამთარია, სამხრეთ ნახევარსფეროში, შესაბამისად, შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული და ზაფხულია. ე. ი. როცა 21 მარტს დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში გაზაფხულის დასაწყისია, სამხრეთ ნახევარსფეროში შემოდგომა იწყება! - იხ. გუნია 2007: 22-25);
12. შობა-ახალი წლის ურთიერთმიმართება (და ის გარემოება, რომ ზოგს არ ეთმობა რა საახალწლო სუფრა, კალენდრის რეფორმას უჭერს მხარს - გუნია 2007: 105-108);
13. საზოგადოდ, კალენდრის მოდელირების საკითხები (მის ართიმეტიკა თუ ასტრონომია);
14. და ბოლოს ის, რომ საეკლესიო კალენდრის შეცვლა, ან ამა თუ იმ დღესასწაულის თარიღის დადგენა, შაირობოდ ეპლუსიის პრემიბა-ტიპაა.

დამოწმებული ლიტერატურა:

- ბიულეტენი 1998:** საქართველოს საპატრიარქოს საღვთისმეტყველო კომისიის საინფორმაციო ბიულეტენი №2. თბილისი: 1998.
- ბუტკევიჩი...1984:** Буткевич А.В. Зеликсон М.С. ВЕЧНЫЕ КАЛЕНДАРИ. Москва: издательство „Наука“, издание 2-ое, 1984.
- გუნია 1999:** გუნია ბ. იულიუსის კალენდრის არსი და მნიშვნელობა. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა „მადლის“ ბიბლიოთეკა, 1999.
- გუნია 2007:** გუნია ბ. იულიუსის კალენდრის საკითხისათვის. თბილისი: გელათის მეცნიერებათა აკადემია, 2007.
- ილია II 2008:** სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი - წიგნი III. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2008.
- კოპალეიშვილი 1991:** კოპალეიშვილი ვ. მითებიდან კალენდრებამდე. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1991.

P.S. კალენდარულ საკითხებთან დაკავშირებით არა-ერთ ინფორმაციას მოიძიებთ „ლიტურგიკულ შტუდიებში“ III (დეკანოზი ბიძინა გუნია - თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ლიტურგიკისა და სამოძღვრო ღვთისმეტყველების კათედრის შრომები – თბილისი: 2012წ.)